



# სასამართლო სხდომის ო ქ მ ი

05 ნოემბერი 2010 წელი

ქობილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის  
მოსამართლე ნანა დარასელია  
სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი

მოსარჩელე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“;  
მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;  
დავის საგანი - ქმედების განხორციელების დაავადებულება;

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე. სხდომა დამთავრდა 12:45 საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომას და აცხადებს განხილველ საქმეს. სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ:  
მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ დირექტორი - ნინო გუჯარაიძე (№01015010047, №ბ0744894);  
მოსარჩელის წარმომადგენელი - ირმა მახათაძე (წარმოდგენილი რწმუნებულება დაერთო საქმეს);  
მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი - სოფიო ახალაძე (მინდობილობა ვერ წარმოადგინა);

მოსამართლე ამოწმებს პროცესზე გამოცხადებულ პირთა ვინაობას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

მოსამართლე, თანახმად სსსკ-ის 214-ე მუხლისა აცხადებს, რომ საქმეს იხილავს მოსამართლე ნანა დარასელია, სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი და უმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.  
მხარეებს მოსამართლის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეებს შეამდგომლობა ან წარმოსადგენი რაიმე დოკუმენტი მტკიცებულების სახით ხომ არ აქვთ მოსარჩელემ განმარტა - სვენ ხარხელის ადვოკატის გამოგვრნა რამდენიმე დოკუმენტის ხარხელზე დართვა წარმოვიდგინო 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 08 სექტემბრის №18/4714/5-10 წერილს და 2010 წლის 01 ოქტომბრის 18/4714/5-10 მიმართუას. ვითხოვ აღნიშნული დოკუმენტაციის საქმეზე დართვას.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის, მე-4, მე-19 მუხლების, საქართველოს სამსჯელაქო კოდექსის 215-ე, 284-285-ე მუხლებით და



ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. დაეროს საქმეს მოსაიძვლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

2. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეს სხვა შუამდგომლობა არ აქვს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. მოპასუხე მხარის წარმომადგენელს დაევალოს სათანადო წესით დამოწმებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესავლების წარმოდგენა.
2. მთავარი სხდომა დაინიშნოს 2010 წლის 19 ნოემბერს 14:00 საათზე.
3. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

სხდომა დაიხურა 12:45 საათზე.

მოსამართლე

სხდომის მდივანი

  
  
  
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის საპროცესო განყოფილება